ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №176305

ნომერი: AR149271

თარიღი : 08.05.2012

გაცემის თარიღი : 22.05.2012

გაცნობის თარიღი : 25.05.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისის II , N 15-17 და მიმდებარე ტერიტორია , (ნაკვეთი N11/65) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე კვირკველია პ/ნ 62001016420
- ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. 5ა ბინა 48

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR149271 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ 2005 წლის 17 ნოემბერს სამსახურის მიერ გაცემული #ჯ-296 ქალაქთმშენებლობითი პირობების კორექტირებას, კერძოდ საპროექტო ტერიტორიიდან გამიჯნული საკადასტრო ერთეულის ჩამატებას. გაცნობებთ შემდეგს:

აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია შპს „EUBE GEORGIA"–ს დირექტორის ირაკლი კირცხალიას განაცხადზე, რომლის საფუძველზე შეთანხმებულია მშენებლობის ნებართვის შემდგომი სტადიები და ასევე ნაწარმოებია მშენებლობა. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი კორექტირება განხორციელდება მხოლოდ თქვენს მიერ ატვირთული #01.18.06.011.065 საკადასტრო ერთეულის გათვალისწინებით, სამშენებლო დოკუმენტაცია #01.18.06.011.042 საკადასტრო ერთეულისთვის რჩება უსაფუძვლოდ. გამომდინარე აქედან უნდა მოითხოვოთ საპროექტო მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად მიღებული ორივე საკადასტრო ერთეულის დაფიქსირება ზემოაღნიშნულ ქალაქთმშენებლობით პირობებში. ამასთან რადგანაც გასაკორექტირებელი ქალაქთმშენებლობითი პირობები გაცემულია შპს „EUBE GEORGIA"–ს დირექტორის ირაკლი კირცხალიას განაცხადის საფუძველზე, მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მითითებული პიროვნების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ახალი მესაკუთრის ნოტარიალურად დამოწმებული თანხმობის წარმოდგენის შემდგომ.

ქალაქთმშენებლობითი პირობების დასადგენად და მასში ცვლილების შეტანის განსახორციელებლად გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით. თქვენი განხცადება სამსახურში შემოვიდა 2012 წლის 8 მაისს თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 10 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 15 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ ქალაქთმშენებლობითი პირობების დასადგენად სამსახურს დარჩენილი აქვს 5 სამუშაო დღე; დანიშნულ ვადაში მოთხოვნილი დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩება განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

მოთხოვნილი დოკუმენტი უნდა ატვირთოთ განაცხადის ცარიელ ველში ან დამატებითი დოკუმენტაციის ველში ელექტრონულად, საიტზე: tas.ge კონსულტაციის მისაღებად მობრძანდით ქ. თბილისის მერიაში (მის: თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა #7 II სართ მე-7 ოთახი)

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.